



გორის მუნიციპალიტეტის მერი



ბრძანება:ბ20. 202407248

თარიღი:12/03/2024

გორის მუნიციპალიტეტის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

„მუნიციპალიტეტის დაგეგმვის სახელმძღვანელო დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის №264 განკარგულებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის დაგეგმვის სახელმძღვანელო“ შესაბამისად და ამავე განკარგულების მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების მიზნით, მიზანშეწონილია გორის მუნიციპალიტეტში შეიქმნას ამავე სახელმძღვანელოში განსაზღვრული სამუშაო ჯგუფი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ა“, „ა.ე“ „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „მუნიციპალიტეტის დაგეგმვის სახელმძღვანელო დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის №264 განკარგულების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. გორის მუნიციპალიტეტის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნას სამუშაო ჯგუფი დანართი 1-ით გათვალისწინებული შემადგენლობით.
2. ბრძანების 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ სამუშაო ჯგუფს, გორის მუნიციპალიტეტის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების მიზნით, დაევალოს „მუნიციპალიტეტის დაგეგმვის სახელმძღვანელო დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის №264 განკარგულებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის დაგეგმვის სახელმძღვანელო“ შესაბამისად და მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში სამუშაო ჯგუფისთვის განსაზღვრული ყველა უფლება-მოვალეობის განხორციელება.
3. განისაზღვრონ გორის მუნიციპალიტეტის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის პროექტის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირები - „ტექნიკური ჯგუფი“ დანართი 2-ის შესაბამისად.
4. ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირებს - „ტექნიკურ ჯგუფს“ დაევალოს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის №264 განკარგულებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის დაგეგმვის სახელმძღვანელო“ შესაბამისად პასუხისმგებელი პირებისთვის - „ტექნიკური ჯგუფისთვის“ განსაზღვრული ყველა უფლება-მოვალეობა მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში განხორციელება.
5. ბრძანების 1-ლი პუნქტით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფის სხდომებს იწვევს და თავმჯდომარეობს სამუშაო ჯგუფის ლიდერი. სამუშაო ჯგუფის ლიდერის არყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ახორციელებს სამუშაო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი სამუშაო ჯგუფის ლიდერის დაავალებით.
6. ბრძანების 1-ლი პუნქტით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფის სხდომა გადაწყვეტილება უნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სამუშაო ჯგუფის სხდომის თავმჯდომარის ხმას.
7. გადაწყვეტილებებს ბრძანების 1-ლი პუნქტით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფის და ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირების - „ტექნიკურ ჯგუფის“ მუშაობასთან დაკავშირებული იმ საკითხების შესახებ, რომლებიც არ არის რეგულირებული საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „მუნიციპალიტეტის დაგეგმვის სახელმძღვანელო დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის №264 განკარგულებით ან ამ ბრძანებით, იღებს შესაბამისად სამუშაო ჯგუფი ან/და პასუხისმგებელ პირები - „ტექნიკური ჯგუფი“.
8. გორის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მჭიდრო თანამშრომლობა სამუშაო და ტექნიკურ ჯგუფებთან. წარმომადგენლებმა უზრუნველყონ

სამუშაო და ტექნიკური ჯგუფებისთვის წინადადებების წარდგენა შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პრობლემების და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ, გაუწიონ ჯგუფს დახმარება მის სამოქმედო ტერიტორიაზე სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვებაში, მონაწილეობა მიიღონ ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობის გამოკითხვასა და საჯარო განხილვების ჩატარებაში და ა.შ;

9. ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა ეთხოვოს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ძლიერი სოფლის პროგრამის წარმომადგენლებს;

10. სამუშაო ჯგუფის ლიდერის გადაწყვეტილებით, ჯგუფის შესვედრებზე დასასწრებად და ცალკეული საკითხების განხილვაში მონაწილეობის მიზნით, შესაძლოა მოწვეულ იქნენ სხვა პირებიც.

11. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

12. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება დაინტერესებული მხარის მიერ მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში, გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30) სარჩელის წარდგენის გზით.



ვლადიმერ ხინჩგაშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გორის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

1	გიორგი შათირიშვილი
2	ნანუკა ფერაძე
3	ანი ბალიაშვილი
4	ვეფხო თინიკაშვილი
5	გიორგი ბარჯაძე
6	ელენე გოცაძე
7	ოფელია მაკრახიძე
8	ოთო გვრიტიშვილი
9	ელენე მინდიაშვილი
10	ზურა გოჯიაშვილი
11	კულა
12	ნინო გიორგაძე
13	მარია მღებრიშვილი
14	სიმონ გულედანი
15	ლია მამულაშვილი
16	ლევან მუმლაძე
17	დავით ჩერქეზიშვილი
18	მედეა პავლიაშვილი
19	ეკა სუხიშვილი
20	სოსო ენუქაშვილი
21	ზურაბ ჯირკველიშვილი
22	თინა ბრეგვაძე
23	მამუკა ზოლოტარიოვი
24	ჯუნა შიუკაშვილი
25	სოსო მეზვრიშვილი
26	სოფიო ჯიქური
27	მერაბ გოხელაშვილი
28	გიორგი გოგინაშვილი
29	ნანა ტერმაკოზაშვილი
30	ნინო ყანჩაველი
31	მიშა ჩიტაძე
32	თეკლა ხაჩიძე
33	დაკო მურადაშვილი
34	ნონა თათეშვილი
35	თეა თედელური
36	თამარ სოსიაშვილი